ჩვენი გზა

№ 13

თფილისი

1907

სუთშაბათი, 20 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 13 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 13

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11-დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებითა აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

თფილისის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური ბიურო „სარდაფების მუშათა პროფესიონალურ კავშირთან“ შეთანხმებით ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ „კახეთის“ საზოგადოებას

ბოიკოტი მოეხსნა

(3—ნ—3)

პატივი მაქვს ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ქ. ბათუმში პირველ სექტემბრიდან დავაარსე**

სამკერვალო სასწავლებელი

რომელიც იმყოფება **მარიინის პროსპექტზე მინოვიჩის სახლში № 40,** ვიყვან მოწაფეებს არა ნაკლებ 13 წლისას და ვასწავლი **„კროიკას“** პარიზის მეთოდ დეიტერნაზე, და სხვა და სხვა ხელსაქმეებს, თვეში 5 მანეთათ. აგრეთვე ვიღებ ყოველნაირ ზაკაზებს ქალთა ტანისამოსისას და ვამზადებ მშვენიერათ პარიზის უკანასკნელ მოდაზე. ვღებულობ სხვა და სხვა საუკეთესო ჟურნალებს.

(2—ნ—2) **პატ. პ. გ. აბაშიძე**

კავკასიის ოლქის სამთო-მადნო სამმართველოს

უფროსის თანაშემწე

დ. ს. მ. ი. ჩენგერი აუწყებს საზოგადოებას, რომ მისი თავმჯდომარეობით, თანახმათ ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის განკარგულებისა, 27 სექტემბერს, 1907 წელს, ქუთაისში, **შესდგება მეათე (საგანგებო) კრება**

შავი ქვის მრეწველთა.

განიხილება შემდეგი კითხვები:

1) საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

2) ქუთაისის კანტორის მოსამსახურეთა უზრუნველყოფა ფულით ან ბინით, თუ კანტორა იქნა გადატანილი ქუთაისიდან ჭიათურაში.

3) უპირატესობა, რომელიც მინიჭებული აქვთ ზოგიერთ ფირმებს გზათა სამინისტროსაგან სხვების საზარალოთ მარგანეცის ვაზიდვის საქმეში.

4) რკინის გზის შტოს გაყვანა.

2—ნ—2

ეჟიმი

ივ. გომართელი

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავათმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

არჩევნები სახელმწიფო დუმაში

თფილისის ქალაქის თვითმართველობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების ქალაქის ამომრჩეველთა კრება დანიშნულია ადგილობრივ მცხოვრებთა კურიისა—27 სექტემბერს და რუსთა კურიისა კი—30 სექტემბერს. არჩევნები მოხდება პირველ განყოფილებისა (1, 2 და 10 ქალაქთფილისის ნაწილების და ბორჩალოს მაზრის ქალაქის ამრჩევლების) ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში. მეორე განყოფილების (3, 4, 5 და 9 ნაწილები) ქალაქ თფილისის თვითმართველობის შენობაში, მესამე განყოფილების (6, 7 და 8 ნაწილების და თფილისის მაზრის ქალაქის ამომრჩევლების) ვარშამოვის თეატრში (ავლაბარში). რუსთა კურიის არჩევნები მოხდება ზუბალოვის სახელობაზე აშენებულ სახალხო სახლში.

პირველ განყოფილებაში უნდა იქნეს არჩეული ორი ამრჩეველი, მეორეში და მესამეში სამ-სამ და რუსთა კურიაში კი თერთმეტი. თანახმათ შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებულ ინსტრუქციისა ამრჩეველთა სიები წარმოადგენენ ჩვეულებრივ ფორმატის თეთრ ქაღალდის მთელ ფურცელს ან ნახევარ ფურცელს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ამრჩეველი იქნება არჩეული) შედგენილი უნდა იქმნესრუსულ ენაზე. ამომრჩეველთა სიაში უნდა იქნას ნაჩვენები, როგორც გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირის, რომელსაც ამრჩეველი ირჩევს, აგრეთვე წოდება, საცხოვრებელი ადგილი და ანუ ამომრჩეველის სიის ნომერი. სიაში არ უნდა იყოს არავითარი შენიშვნა, ნიშანი, აგრეთვე არც ერთ გვერდზე არ უნდა იყოს რამე გასწორებული და ან წაშლილი. თუ ისე არ იქნება სია დაწერილი, როგორც აქაა ნაჩვენები, არ იქნება მიღებული. ზემო მოყვანილი ცნობა ჩაიწერება ამომრჩეველთა სიაში ისე, როგორც ამრჩეველი სამჯობინოთ დაინახავს (ან ხელით ჩაწერს, ან დაბეჭდავს და სხვა) ამრჩეველთა სიები შეუძლიათ შეადგინონ ამრჩევლებმა ან არჩევნების წინადღეებში, ანდა ამრჩეველთა კომისიის შენობაში. ამომრჩეველთა სიები უნდა იქნეს ჩადებული იმ კონვერტებში, რომლებიც დარიგდება ქალაქის თვითმართველობისაგან, ამისთანავე დაიბეჭდება ეს კონვერტები თავისავე წებოთი და არავითარი ბეჭედი არ უნდა იყოს დაკრული. კონვერტში უნდა იყოს ჩადებული მხოლოდ ერთი ამომრჩეველის სია. (3—ნ.—3)

„ნიშადური“

№ 6 გამოვა შაბათს, 22 სექტემბერს. ფასი ოთხ ფერად ორ-ორი შაური.

მესამე და მეხუთე ნომრები სულ გაყიდულია.

რედ.-გამომცემელი **გალ. გუნია**

საარჩევნო კომისია

მირზოევის მიწებისა ამით აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვისაც მიწები აქვს აღებული, უსათუოთ მობრძანდენ დანიშნულ ალაგზე **კვირას, 23 სექტემბერს,** დღის 1-ლ საათზე ანგარიშების გასაცნობათ. კრება ნებადართულია. 5—ნ—1

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლეს საშვალო და დაბალ სასწავლებლისთვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: ედისაბედის ქუჩა, სახლი № 148, მახარაძის ბინა.

ჩვენი ნაციონალისტების ბანაკში

—

განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი მაჯის ცემა დროებით შესუსტდა, ხალხის ხმა წინანდებურათ აღარ ისმის, მარა მიუხედავათ ამისა ხალხის პოლიტიკური მომწიფების პროცესი სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ, პოლიტიკური დიფერენციაცია სწარმოებს. რევოლიუციონური ალმაფრენით გამოწვეული ფრაზეოლოგია ქრება, პოლიტიკური პარტიების ფიზიონომია ყალიბდება, ისინი უახლოვდებიან იმ სოციალურ ჯგუფებს, რომელეთა ინტერესების დაცვისათვის მოწოდებული არიან ცხოვრებაში. კლასთა ბრძოლა უფრო ღრმავდება. ამ მხრით თუ შეხედავთ ჩვენს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების ღირს-შესანიშნავ მოვლენას შევამჩნევთ: ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას ჩემობდა და გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ „სოციალისტის“ ქერქშიც კი გაეხვია—ეს ინტელიგენცია თავისივე ხელით იხდის პირბადეს და დროთა ვითარებისაგან იძულებულია, თავის საკუთარ ფიზიონომიას ააშკარავებს. არსად, არც ერთ ერში ინტელიგენცია ისეთ არაარაობას არ წარმოადგენდა, როგორც ჩვენში. მოკლებული საკუთარ ძალას, ხალხისაგან შორს მდგომარე, მშიშარა და უშინაარსო—ის ყოველთვის ზევიდან მედიდურათ დაყურებდა ხალხს. რამდენათაც მეტ სიცალიერეს წარმოადგენდა იგი, იმდენათ უფრო დიდი წარმოდგენის იყო თავის თავზე. მშრომელი ხალხის გამოღვიძებამ ჩვენში თითქოს ძილი დაუფრთხო ამ ინტელიგენციას. გურული ანდაზის არ იყოს, „კარგ დარში ჭიაც კი აგორდებაო“, ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა დაიწყო „ჰაერიჩ რხევა“ და ასე წარმოიდგინეთ, სოციალისტების სახითაც კი მოევლინა ჩვენს ხალხს. მარა რამდენათაც მატულობდა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, რამდენათაც ღარიბ-ღატაკი გლეხობა გვერდში უდგებოდა ქალაქის მუშებს, იმდენათ უფრო ირკვეოდა ხასიათი ამ ვაუბატონების „სოციალიზმისა“.

გაზეთი „ისარი“ (№ 201) ლაპარაკობს რა ანტი-რუსულ კოალიციაზე მეორე დუმაში, სწერს:

„ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელნი, თუ ისინი სოც.-დემოკრატები იქნებიან, რასაკვირველია, ხსენებულ კავშირში მონაწილეობას არ მიიღებენ. ისინი, როგორც წინად, ჩადგებიან „სრულიად რუსეთის სოც.-დემ. მ. პ. ფრაქციაში“ და იმის ალმასრულებელი შეიქნებიან, რასაც ც. კ. უბრძანებს. მაშინ საქართველო, ქართველები მოწყვეტილი იქნებიან იმ საერთო საქმისაგან, რომელიც ყველა რუსთ შეაერთებს სათათბიროში...“ ამ მხრით თუ გავსინჯავთ საქმეს და აგრეთვე თუ გავიხსენებთ ჩვენებურ ს. დ. მუშაობას წარსულ სათათბიროში, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ **ჩვენთვის, ქართველებისათვის,** (კურსივი ჩვენია) **ქართველ ხალხისათვის** უფრო უმჯობესია ქართული **უბრალო პროგრესისტი,** პროგრესიული მოაზრე და მოღვაწე წავიდეს სათათბიროში, **ვიდრე სრულიად რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიის** ერთ-ერთი ადგილობრივი წარმომადგენელი“.

ჩვენ აქ არ ვეხებით იმ პოლიტიკურ აბდა-უბდას, რომელსაც გაზეთი გამოთქვამს, ჩვენ გვსურს მხოლოდ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი ფედერალისტებისთვის უფრო სასურველია ვინმე უბრალო პროგრესისტი წავიდეს სათათბიროში, ვინემ მებრძოლი კლასის, პროლეტარიატის წარმომადგენელი. ჩვენ ვამბობთ, ჩვენი ფედერალისტებისთვის თუმცა „ისარი“ უტიფრათ გაიძახის „ჩვენთვის, ქართველების, ქართველი ხალხისათვისო!“ ამ ორ ინტელიგენტ ნახევრს, რომლებიც „ისრის“ რედაქციაში თუ მის გაერეთ ბუდობენ. თავი ქართველ ხალხათ წარმოუდგენიათ უკვე. ჩვენ არაფერი არ გვაქვს იმის წინააღმდეგი რომ უსაქმო ხალხმა დრო გამოშვებით იოცნებოს ხოლმე, მარა როცა ამას გაზეთში სწერენ და სინამდვილეთ გამოაქვთ, ეს კი, მეტი რომ არ იყოს, სასაცილოა. ვინ არ იცის, რომ ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ, მისმა მშრომელმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ისარის“ მიმართულებას, მის ვიწრო ნაციონალიზმს და თანაუგრძნობს სწორეთ იმ მიმართულებას, რომელსაც ასე გულმოდგინეთ, მარა უნაყოფოთ ებრძვის ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენცია? და თუ ეს ასეა, (და რომ ეს ასეა ამას ვერავინ ვერ უარყოფს), რა უფლება აქვს ხსენებულ გაზეთს იძახოს ქართველების სახელით?

სოციალიზმის სიძულვილი აიძულებს ჩვენს, უკაცრავათ პასუხია, „სოციალისტ“-ფედერალისტებს პირდაპირ განაცხადონ, რომ სოც.-დემოკრატ დეპუტატის არჩევას მათ ურჩევნიათ უბრალო პროგრესისტის გაგზავნა სათათბიროში, რომელიმე მაზრის ან გუბერნიის მარშალის ამორჩევა, რომელიც გულში ატარებს ზიზღს მუშათა და გლეხთა მოძრაობისადმი, მარა სუფრაზე შეზარხოშებული ხშირათ წამოიძახებს ხოლმე: „გაუმარჯოს საქართველოს!“ ს.-დემოკრატიული ფრაქცია დუმაში იბრძოდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, ის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა, ქვეყნის განახლებას თავს სწირავდა. უბრალო პროგრესისტი დაჯდება კადეტებთაან ან იმათ მარჯვნით და დაადასტურებს მთავრობის ბევრ მოქმედებას, როგორც ეს იყო მეორე დუმაში, მარა „ისარისათვის“ ამას არ აქვს მნიშვნელობა. მთელ წყობილებასთან ბრძოლა საერთო ძალღონით სხვა ერის დაჩაგრულ და გაყვლეფილ კლასებთან ერთათ—ეს ისეთი უმნიშვნელო რამაა, რომ ამას ადვილათ დათმობენ ჩვენი ფედერალისტები. მათ უნდათ დუმაში შექმნას „ქართული კოლო“, რომელიც იქ ავტონომიაზე ილაყბებს, აქ კი თავის სამშობლოში სულს ამოხდის ჩვენებურ გლეხს და მუშას, თავის ბინძურ ხელებს შეიღებავს სოციალისტური პროლეტარიატის სისხლით, ბოლოს მოუღებს „შინაურ მტერს“. განა ტყვილათ გადმოიღეს ეს ტერმინი ჩვენმა ფედერალისტებმა რუს პატრიოტებისაგან? ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენი ფედერალისტების „სოციალიზმი“, ეს მხოლოდ მუშების მოსატყუებელი „საკენკია, რომ ის გაკრება სინამდვილესთან პირველი შეხებისთანავე და ბურჟუაზიული ინტელიგინცია თავის საკუთარ სახეს გამოაჩაშკარავებს-თქო. „სოციალისტ“-ფედერალისტების მოღვაწეობა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროის მოღვაწეობა, ნათლათ გვიმტკიცებს ჩვენ ამ ჭეშმარიტებას. დღეს თვითონ იგინმა აღიარეს პირდაპირ თუ ვის თანაუგრძნობენ და რის განხორციელებას ცდილობენ. ქართველმა მუშამ, ქართველმა ღარიბმა გლეხმა კარგათ უნდა დაიმახსოვნოს ის, რასაც დღეს ფედერალისტები სწერენ და აკეთებენ. ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენცია გამოდის მათ წინააღმდეგ, ის პირდაპირ აცხადებს, რომ მას ურჩევნია ჩვენი ხალხის წარმომადგენლათ ხედავდეს უბრალო პროგრესისტს, ვინემ სოც.-დემოკრატს, რომელიც იბრძოლებს მიწისა და თავისუფლებისათვის, ხელს შეუწყობს პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას, მის შეკავშირებას.

ეს კარგათ უნდა დაიმახსოვნოს ჩვენმა მუშებმა!

პოლიტიკური მიმოხილვა.

—

რუსეთსა და ინგლისს შორის კარგა ხანია პოლიტიკური ხელშეკრულობა მზადდებოდა, მარა ის დღემდის ვერ განხორციელდა. მიზეზები ბევრია. აღნიშნულ სახელმწიფოების გამგეები ყოველთვის მტრულათ შესცქეროდენ ერთმანეთს;

ინგლისი კოლონიური სახელმწიფოა, მისი ძალა და შეძლება კოლონიებშია. ამისთვის ის ძლიერ დაინტერესებულია მათი ბედ იღბალით. ყველაზე დიდი და მდიდარი კოლონია ინგლისს აზიაში აქვს და აქ მას ერთათ ერთი მძლავრი მეზობელი რუსეთი ყავს, რომელიც ცდილობს გააფართოვოს თავისი ტერიტორია. ამის გამო ინგლისი მუდამ შიშში იყო. რუსეთის დიპლომატიის პოლიტიკურ მოქმედებას აზიაში ინგლისის მთავრობა უყურებდა როგორც მუქარას. ამგვარ პირობებში ძნელი იყო რუსეთ-ინგლისს შორის მეგობრობის დამყარება. მარა რუსეთ-იმპონიის ომის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა აზიაში ძალა-უნებურათ არსებითათ შეიცვალა. რუსეთის სამხედრო ძლევა-მოსილება შეირყა, მძლავრმა მეზობელმა მანჯურიის მინდვრებზე და იაპონიის ზღვაში დაამარცხა „აღმოსავლეთის დევ-გმირი“.

ცუსიმამ და მუკდენმა რუსეთის მომავალ პოლიტიკის პირველ საქმეთ—შინაური საქმეების მოწესრიგება და სამხედრო სიძლიერის აღდგენა დააჩქარა. ამით მომზადდა კიდეც ნიადაგი რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულობისათვის.

პირველ ხანებში ხელშეკრულობის განხორციელებას ძლიერ ხელს უშლიდა რუსეთის შინაური ამბები. ინგლისის ლიბერალური სამინისტროს და პროგრესიული საზოგადოების სიმპატია უფრო რუსეთის ხალხისაკენ იყო, ვინემ ბიუროკრატიისაკენ. პოლიტიკურ სიმპატია-ანტიპატიამ შეაფერხა და შეაჩერა ხელშეკრულობის საქმე. დღეს ხელშეკრულობა უკვე გამოქვეყნებულია. ხელშეკრულობა უმთავრესათ ეხება სამ სადავო საგანს: ავღანისტანის, სპარსეთის და ტიბეტის საკითხებს.

ავღახისტანის საკითხი არსებითათ შეეხება ინდოეთის საქმეებს. ინგლისი არავითარ ზომებს არ ზოგავდა, რომ მას ქონოდა უპირველესი გავლენა ავღანისტანის პოლიტიკაზე. სხვათა შორის, ორი ბუმბერაზის მეტოქეობით და მისი პოლიტიკური მდებარეობით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ ავღანისტანი დღემდის მეზობლებმა არ ჩაყლაპეს. რუსეთ-ინგლისის პოლიტიკური ხელშეკრულობა ნათლათ განსაზღვრავს ორი მეტოქის დამოკიდებულებას ავღანისტანთან. „ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მას აზრათ არა აქვს ავღანისტანის პოლიტიკური მდგომარეობა შესცვალოს. ამასთან ის ამბობს, რომ მშვიდობიანობის სასარგებლოთ მოიხმარს თავის გავლენას და ავღანისტანში არ მიიღებს და არ განახორციელებს რუსეთის საწინააღმდეგო ზომებს, თავის მხრივ რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის ავღანის-

ტანს თავის გავლენის გარეშე აყენებს და ამასთან ვალდებულია ყოველგვარ მოლაპარაკება ავღანისტანის მთავრობასთან ბრიტანიის მთავრობის შუამწეობით გამართოს. რუსეთი ვალდებულია, ავღანისტანში აგენტები არ გაგზავნოს“.

სპარსეთის შესახებ ხელშეკრულება უფრო ერთგვარია და თანასწორი ორივე მხარისათვის. ინგლისმა და რუსეთმა „ორთავემ დაადგინეს სპარსეთის თავისუფლება და მთლიანობა“. რა შინაარსისაა ეს საზოგადო ფრაზები, ამას კონცესიის შემდეგი მუხლები გვაჩვენებს. ხელშეკრულობის პირველ მუხლში ჩამოთვლილია ის პროვინციები, სადაც **გავლენა მარტო რუსეთს** ექნება; იქავე აღნიშნულია ის პროვინციები, სადაც **მარტო ინგლისს** ექნება **გავლენა.** აღნიშნულ პროვინციებს შორის დარჩენილი ადგილი ორივე სახელმწიფოს გავლენის ქვეშ უნდა იყოს. „თავთავიანთ“ პროვინციებში ინგლის და რუსეთს შეუძლია სავაჭრო და პოლიტიკური ხასიათის კონცესიები აიღოს. ასე დაიყო ინგლის-რუსეთმა „თავისუფალი და მთლიანი“ სპარსეთი!

დარჩა ტიბეტი. ტიბეტი ორივე მხარემ თავის პოლიტიკურ გავლენის გარეშე გამოაცხადეს. ისინი არ ერევიან ტიბეტის შინაურ საქმეებში. ყოველგვარ მოლაპარაკებას ტიბეტთან ჩინეთის მთავრობის შუამწეობით გამართავენ. იმათ არავითარი კონცესიები არ უნდა აიღონ არც თავისთვის და არც თავის ქვეშევრდომთათვის. რუსეთს ხელშეკრულობის ძალით აეკრძალა სამი წლის განმავლობაში „სამეცნიერო“ ექსპედიცია გააგზავნოს ტიბეტში.

ასეთია რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულობის უმთავრესი მუხლები. ცხადია, მისი პოლიტიკური შედეგი დიდი იქნება ორივე მხრისათვის.

ახალი ამბები

არჩევნები. 18 სექტემბერს მოხდა ხაშურის, სურამის და ქარელის საბოქაულოებში წვრილ მემამულეთა ამომრჩევლების კრება. დაესწრო 40 ამომრჩეველი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა 5 რწმუნებული. ხუთივე უკიდურესი მემარცხენენი არიან.

როგორც გვატყობინებენ, 15 სექტემბერს, ბორჩალოს მაზრაში დანიშნული საარჩევნო კრება წვრილ მემამულეებისა არ შესდგა, რადგანაც კრებაზე არავინ გამოცხადებულა.

✦ დრამატ. გამგეობის დადგენილება. 18 სექტემბერს მოხდა კრება ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობისა. გამგეობამ გადაწყვიტა თვითონ მართოს წარმოდგენები. მასთან მოლაპარაკება მოხდეს, როგორც სახაზინო თეატრის დირექციასთან, აგრეთვე არტისტიული საზოგადოების გამგეობასთან, რომელ დღეებში შეეძლებათ მათ თეატრის შენობის დათმობა.

✦ დაპატიმრება. 18 სექტემბერს საღამოს თავის სახლში, წყნეთის ქუჩაზე, პოლიციას დაუპატიმრებია სავაჭრო მეურნეობის მეთვალყურე ნეჩაევი. ჩხრეკის დროს უნახავთ საარჩევნო ლიტერატურა.

✦ საკვირაო სკოლა. ავჭალის ქუჩაზე არსებულ ქალაქის საკვირაო სკოლაში დღევანდლამდის 40 ჩაწერილა. ახლების მიღება გრძელდება.

✦ სირაჯების განცხადება. ამას წინედ თფილისის სირაჯებს საერთო კრება მოუხდენიათ რომ არიან რამოდენიმე პირნი არა მათი ხელობისა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ორ-სამ საქმეს აწარმოებენ, ეს გარემოება კი სირაჯებს მეტოქეობას უწევს და იძულებულს ხდის მათ აღარ გაიღონ თავიანთ სავაჭროები. ამისათვის კრება დიდი თათბირის შემდეგ მისულა იმ დასკვნამდე რომ მისცეს წინადადება ყველა სირაჯებს მიაქციონ ყველგან განსაკუთრებული ყურადღება, იხმარონ შესაფერი ზომები რათა მეტოქეებს შეუმცირდეთ სამოქმედო ასპარეზი ღვინის ყოდვა-გაყიდვის საქმეში.

✦ კრება. 18 სექტემბერს 1-ლ ვაჟთა გიმნაზიაში მოხდა კრება ღარიბ ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებისა. კრებამ განიხილა ანგარიში 1906 წ. და მომავალ 1907 წლის და შესავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, როგოც პირველი ისე მეორე ანგარიში დამტკიცდა. ქ-ნ ოდნოსუმოვა, რომლის მიერ შეწირულ შენობაში მოთავსებულია ზემოხსენებული საზოგადოების სკოლა, არჩეულ იქნა საზოგადოების საპატიო წევრათ. თავმჯდომარეთ ქ-ნი შატილოვა. ახალ წევრებათ ძველების მაგიერ--ქ-ნი თუმანოვი, აბროსიმოვი და სუნდუკიანცი.

✦ უბედური შემთხვევა. 18 სექტემბერს საღამოს 8 ს., როდესაც ვაგზლიდან მუშტაიდის შესახვევში გაჩერებული № 25 ვაგონი მიდიოდა, ამ დროს ზევით მიმავალი დრაგუნების პატრულის ერთი ჯარის კაცის ცხენს გაჰკრა ვაგონმა, ცხენმა წამოიჩოქა და ჯარის კაცმა თავი გაიტეხა. ვაგონი შეაჩერებინეს და, როგორც კონდუქტორი ისე ვატმანი პოლიციაში წაიყვანეს, როგორც გადმოგვცეს კონდუქტორი იმ ღამესვე გაუნთავისუფლებიათ, ვატმანი იაჩევსკი-კი მეორე დღეს. ამ ქუჩაზე ამისთანა შემთხვევა ყოველთვის მოსალოდნელია რადგანაც ქუჩა საშინლათ ჩაბნელებულია ვაგონებ, დირექციის მოვალეობა არის ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

✦ თავის მოწამვლა. 18 სექტემბერს ტეხნიკი ალექსანდრე სტროიანოვსკი (28 წლის) შესულა სახლში ცოტა შეზარებული, წყლის მაგიერ აუღია ჭიქა, რომელშიც კორბოლის სიმჟავე ყოფილა და დაულევია. ასეთი გაუფთხილებლობით მას თავი მოუწამლავს. სტროიანოვსკი საავათმყოფოში წაუყვანიათ სადაც რამოდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

✦ შერეული კომისიის კრება. 18 სექტემბერს საღამოს 7 საათზე ქალ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება შერეულ კომისიისა. კრებას დაესწრო 6 წევრი კომისიისა ადგილობრივი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეებისაგან, 1 ხმოსანთაგან და თვით თავმჯდომარე არღუთინსკი. კრება კანონიერი არ იყო, ამისათვის იქონიეს კერძო თათბირი. ყველა მომხრე იყო, რომ დაწესებულ იქმნას ყველა სავაჭრო დაწესებულებაში 8 საათის სამუშაო დრო. შემდეგი კრება მოწვეულია ოთხშაბათს, 26 სექტემბერს. როგორც ეტყობა, ეს კომისია ფაქტიურათ არ არსებობს, რადგანაც არავის არ აქვს ინტერესი კრებაზე მოსვლისა.

✦ თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი. ტრაქტირის პატრონი ინჟენერის ქუჩაზე, დავით აივაზოვი პოლიციის კანონიერი მოთხოვნილების არ შესრულებისათვის დაჯარიმებულ იქნა 50 მანეთით.—თფილისის მცხოვრებ არღუთინ აზარიანცს, ყარსის ოლქის მცხოვრებს სააკ ტერ-მარქაროვს, თფ. მცხოვრებ სეროფ ოჰანეზოვს, სოფ. მარტყოფის მცხოვრებს ადამ გობაშვილს, ველისციხის მცხოვრებს სპირიდონ ნადვიშვილს ზიმესხეთის მცხოვრებს ალექსანდრე საკრაძეს, სოფ. ველის მცხოვრებს ივანე ქელბაქიანს და ნოვობაიაზეთის მცხოვრებს ანუშოვან მალსანიანცს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირთ, აეკრძალათ ცხოვრება თფილისში სამხედრო წესების მოხსნამდე.—თფილ. მოქალაქე გიორგი ორუაშვილი, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ, დაპატიმრებულ იქნა ციხეში ჯდომით სამი თვით, შემდეგ იგზავნება პერმის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდე.—გორის მაზრის სოფელ ზერტის მცხოვრებნი ავაზაკების შენახვისა და დამალვისათვის დაჯარიმებულ იქნენ 400 მან.—თფილისის მცხოვრები კეკელა მარქაროვა სანიტარული დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 50 მან.—სახლის პატრონები: ოლგინის ქუჩაზე № 15. ნაზარბეგ სულთანოვი, აფიცრის პერეულკაზე № 33 პეტროვი, ვერის დაღმართზე № 3 აივაზ ოსიპოვი, გრიბოედოვის ქუჩაზე № 21 სულხანოვი, იმავ ქუჩაზე № 25 ალილოვი, სავალდებულო დადგენილების ფარნების შესახებ დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნენ თითო 25 მ.—ვიატკის გუბერნიიდან თავისი ნებით დაბრუნებული მიხეილ ალექსანდროვი გაგზავნილ იქნა იმავ გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ. დუშეთის მაზრის სოფ. კინბარიანის მცხოვრებს ვასილ ბუგუჩურს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის, აეკრძალა ცხოვრება თფილისში და მის რაიონებში სამხედრო წესების მოსახნამდე. დუქნის პატრონს სატივოზე ილია ბროძელს მასზე დადებული ჯარიმის გადუხდელობისათვის მიესაჯა ერთი თვით ციხეში ჯდომა.

✦ თავდასხმა. 18 სექტემბერს, ალექსეევის ჩუქურზე კამჯდელს ნიკოლოზ ლაგრიოზს თავს დასხმიან ორი ბოროტ-კამზრახველი რეგოლვერებით შეიარაღებული, წაურთმევიათ 400 მან. და მიმალულან.

✦ შეპყრობა. 18 სექტემბერს ხოდიცას შეუპყრია მეოთხე ხირი ტერ-მიქელიანცის მკვლელისა. შეპყრობილს განუცხადებია, რომ მისი გვარი არის ტაკეს ჩეტრასიანცი.

✦ ქურდობა. 17 სექტემბერს, საღამოს 6 ს. ინჟინერ შახსაზარეგის სახლიდან, ბესიკის ქუჩაზე ვიღაცას მოუპარავს ხალიჩა, ღირებული 300 მან.

✦ 18 სექტემბერს ნაძალადევში კურდ ფონ-კუჩენბახის საკუთარ ბინიდან ვიღაცას მოუპარავს 5 ფუთი და 10 გირვანქა ერბო ღირებული 126 მან.

✦ 18 სექტემბერს საღამე კანდრატიევის სახლიდან, საბაირის ქუჩაზე № 46 ვიღაცას მოუპარავს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 148 მან.

რუსეთის პრესა

საშვიდობო კონფერენცია.

ეხლახან დასრულებულ ჰაგის საშვიდობო კონფერენციას ერთობ სასტიკ მსჯავრსა სდებენ პროგრესიული გაზეთები. ასე, „რუს. ვედ“. სწერს:

„მეორე ჰაგის კონფერენციამ, აშკარაა, ვერ მიაღწია თავის დანიშნულებას. ყოველ შემთხვევაში მან ისეთი საზოგადო შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ოვით კონფერენციის მონაწილენი, ეტყობა, ეშინოდენ ხელმეორეთ მეორე იყოს ის მიზნები, რისთვისაც ეგენი შეიკრიბენ და ამიტომაც დადგინეს — ძმადგენ, რიგით მესამე, კონფერენცია მოწვეულ იქნას მხოლოდ 1915 წელს“.

უფრო გადაჭრით სწერს გაზ. „რეჩი“.

„კონფერენცია მეტის-მეტათ შემოკლეს, ეცადენ როგორმე დაებოლოვებინათ იგი, რადგან დებატებისა და გადაწყვეტილებათა მსვლელობამ აშკარათ დაამტკიცა მისი შრომის სრული არარაობა, უნაყოფობა და თითქმის უსახელოვნობაც (безславность).

ვინმეს რომ მოესურვა აბრუ გაეტეხა ხალხთა სამშვიდობო შეთანხმებების იდეისათვის, არა გვგონია უფრო შესაფერი სანახაობა გამოეგონა, ვიდრე იყო ეს ჰაგის მეორე კონფერენცია“.

რუსეთის პროგრესიულ პრესის აგეთი მწვავე უკმაყოფილების გამომხატავი კილო ადვილათ გასაგებია. რუსეთის დელეგაციის მოქმედება კონფერენციაზე განსაკუთრებულათ სათაკილო იყო. იმის შემდეგ, რაც უკანასკნელ ომიანობამ ასე მჭვრმეტყველურათ გამოამჟღავნა რუსეთის არმიის და ფლოტის „ძლევამოსილება“, მოსალოდნელი იყო, რომ დელეგაცია ოდნავათ მაინც თავმდაბლობასა და მოკრძალებას გამოიჩენდა და უფრო მეტ სიტყვასაც დახარჯავდა „მშვიდობასა“ და „კაცთ-მოყვარეობის“ სასარგებლოთ, მით უმეტეს, რომ „ჭკვიანური დიპლომატია“ ასეთ კილოს ავალებს სახელმწიფოს მაშინაც კი, როცა ის უკვე მზათ არის აამოძრაოს თავისი მართლა ძლევა-მოსილი სამხედრო ძალა. დელეგაცია სულ წინააღმდეგ მოიქცა. არამც თუ მხარი არ დაუჭირა ომიანობის სიმკაცრე-სისასტიკის შემამცირებელ ზომებს, მან, პირიქით, მოითხოვა მისი ასპარეზის გაფართოვება. დელეგაცია ითხოვდა სახელმწიფოს სრული ნება ჰქონდეს ომი ზეცაშიაც გადაიტანოს, ჰაეროსტატებიდან ესროდეს მოწინააღმდეგეს ყუმბარებსა და ათასგვარ ასაფეთქებელ-ამოსაყლეტ მანქანებსო. და ასეთ კამპანიას ეწეოდენ წარმომადგენელნი იმ მთავრობისა, ვის წინააღმდეგაცაა მთელი პროგრესიული რუსეთი.

დემაგოგია თუ რეალიზმი.

რეაქციონური პრესა ამ ბოლო დროს საოცარის გაშმაგებით ამხედრებული კადეტების წინააღმდეგ, სხვა მრავალ ცოდვათა შორის აღნიშნავს კიდევ იმას, ვითომ კადეტების პროგრამული მოთხოვნანი მოკლებულია რეალურ შინაარსს და წარმოადგენს პიტალო დემაგოგიას. ამამეხის დამცემი რუსეთის მთავრობისათვის, ვინემ კადეტების ჯიბეში შეკუმშული მუშტი.

ჩვენ სულაც არ ვამბობთ იმას, რომ საფრანგეთი და ინგლისი არ არიან ძალზე დაინტერესებული რუსეთთან კავშირში. პირიქით, მათი მახლობელი მიზანი სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიას რგოლი შემოარტყან აღმოსავლეთით და მით მისი ხმელთა ჯარის ძალა დასვლეთით დაასუსტონ. მაგრამ მათ უნდათ იქონიონ საქმე განსაზღვრულ და გამაგრებულ დუმასთან და არა დღევანდელ ნიზირ-ვეზირებთან; მათ სულაც არ ეშურებათ ფული რუსეთისთვის, მაგრამ თხოულობენ კონსტიტუციონალურ წყობილების დაარსებას. მართლაც, ფულიც რომ არ ენანებოდეთ მათ, რუსეთის ბიუროკამარილას გამაგრება სრულიად ბოლოს მოუღებს რუსეთის სამხედრო ძალას და მაშინ ხომ ორთა კავშირის საფუძველი დაინგრევა.

როგორც ვხედავთ, ორთა კავშირს კრიზისი დადგომია. სანამ რუსეთში თვითნებობაა გამეფებული, საფრანგეთის და ინგლისის ქისა თავ-მოკრულია და ორთა კავშირიც ქანაობს და „Русское Знамя“-ს სათრეველათ გამხდარა. ბევრი ნიშნებია იმისი, რომ თუ რუსეთში, ახლო მომავალში, ახალი პოლიტიკური წყობილება დამყარდა, მაშინ ორთა კავშირი სამთა კავშირათ იქცევა: რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისი.

სამაგიეროთ ხულიგანების ლეიბ-გაზეთი სამართლიანათ ეტრფის გერმანიასთან კავშირს და მენდელსონის ჯიბეს. რუსეთის ბიურო-კამარილაც მუდამ თანაუგრძნობდა ამ კავშირს, მაგრამ მისი რეალურათ განხორციელება შეუძლებელი გახდა ორი გარემეობის მეოხებით.

(დასასრული იქნება).

ა. ჩ.

ცოტა რამ საერთაშორისო ურთიერთობიდან.

ორთა კავშირი.

ისევ მოგვიბრუნდა ძველი ხანა, თუმცა მკრთალათ და ძალიან უმზგავსოთ. მე-90 წლებში, როცა პირველათ იკვანძებოდა ორთა კავშირი, რესპუბლიკანური საფრანგეთი სიხარულით ცასა წვდებოდა. ამ გარემოებამ ცხადათ დაანახვა ყველას, რომ ახლანდელი კლასობრივი სახელმწიფო არავითარ საშუალებას, წმინდას თუ უწმინდურს, არ დაერიდება, ოღონდაც კი თავის ქვენა მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. საფრანგეთის გამგე კლასები დაფრთხენ გერმანიის ერთ-თავიან არწივის წინაშე და სამაგიეროთ რუსეთის ორთავიან არწივის ფრთას შეაფარეს თავი. ისინი მაშინ დიდის ზეიმით გაიძახოდენ, ჩვენ გვინდა დავიცვათ რესპუბლიკა გერმანიის რეაქციისაგანაო, და სწორეთ იმავ თვალის დახამხამებაზე რუსეთს ეხუტებოდენ მკერდში.

მაგრამ დიდი იყო მაშინ რუსეთის ავტორიტეტი ევროპაში. ყველას ასე ეგონა, რუსეთი უძლეველია ხმელეთზე; მეზობლები თრთოდენ მის წინაშე. რუსეთის რეაქცია მაჯლაჯუნასავით აწვა დასავლეთ ევროპას და მისი ბიურო-კამარილა წამ და უწუმ ერეოდა „დამეგობრებულ“ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობაში. რაც შეეხება საფრანგეთთან კავშირს, ეს არა-ბუნებრივი იყო და სულაც არ შეეგუებოდა რუსეთის ტრადიციებს. რასაკვირველია, პეტერბურგის მაშინდელ კაბინეტს ფიქრშიაც არ გაუვლია საფრანგეთის რესპუბლიკის დაცვა. პირიქით, ის მუდამ ეომებოდა სახელმწიფო წყობილების ამგვარ ფორმას. მაგრამ მას აინტერესებდა ორი გარემოება: ფრანგების სქელი ჯიბე და ინგლისის ფრთების შეკვეცა ახლო აღმოსავლეთში.

ამგვარათ, ორივე სახელმწიფოს სათავეში მყოფნი ძალიან კმაყოფილი დარჩენ კავშირით, მაგრამ ორივეს როდი მიუღია თანაბარი სარგებლობა უკანასკნელისაგან. დრო გადიოდა, მაგრამ საფრანგეთი ვნების მეტს ხეირს არ ხედავდა კავშირისგან. გერმანია ყელამდე გართულ იყო თავის შინაურ საქმეებში; მისი ბურჟუაზია, ახლათ ფეხ-წამოდგმული, თავდავიწყებით მისცემოდა მსხვილ წარმოების აღორძინებას და აღებ-მიცემობას და გარეშე პოლიტიკაზე ჯერ თავს არ იცხელებდა. ინგლისმა განზე დაუწყო ყურება საფრანგეთს და კიდეც დაანაახვა მას თავისი წყრომა: მოვიგონოთ ფაშოდა. საფრანგეთი თანდათან გამარტოებული დარჩა და ადრინდელზე უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდა, რადგან რუსეთის ბიურო-კამარილას კლანჭები უფრო საგრძნობელი გახდა პარიზში. უკანასკნელი. თავის ელჩს პარიზში რესპუბლიკის რეზიდენტათ აღიარებდა და თხოულობდა ხალხის ალაგმვას, ერთის მხრით, და ფულს, მეორეს მხრით; მოსყიდული პრესა და ბანკირები თავბრუ ასხამდენ წვრილ და საშუალო ბურჟუებს, რომ მათ შენახული ფულები რუსეთის „დიდ-მომგებიან“ პროცენტის ქაღალდებში გაეცათ. მთავრობა, როგორც რომელიმე შემოერთებულ პროვინციის უფროსი, ისე რიდით და კრძალვით ხვდება რუსეთის უმაღლეს ძალა-უფლების წარმომადგენელს პარიზში. ერთი სიტყვით, ორთა კავშირი სახელით საფრანგეთს, სახრავათ რუსეთს უწევდა სამსახურს.

3 ივნისის Coup d'etat-მა ისევ გააგულიანა რუსეთის რეაქცია და ახლა იქაური ოფიციოზები ძველებურათ იწყებენ ღრიალს. „ნოვ. ვრ.“ საყვედურს უცხადებს საფრანგეთის კაბინეტს, რომ მან არ გამოიჩინა შესაფერი მეგობრობა რუსეთის მიმართ. გაზეთი გარკვევით არ ამბობს, რომელი ქვენა ქარი ალაპარაკებს მას, მაგრამ ყველასათვის ცხადია მისი საყვედურის საბაბი. კაი ხანია, რაც რუსეთის აგენტები დაძვრებიან ევროპის ბირჟებზე, რომ ფული ამასიცაქნონ მათ რუსეთის სამხედრო-საველე ბიუჯეტის განსამტკიცებლათ. პარიზში არ დახვდათ მათ შესაფერი დახმარება და თანაგრძნობა და სუვორინიც სწორეთ ამიტომ არის გაბრაზებული. „რუს. ზნამია“ აშკარათ აცხადებს ამას: ჩვენ არა გვსურს საფრანგეთის ებრაელებთან საქმე დავიჭიროთ; ჩვენთვის ნამდვილ მეგობრობის გაწევა გერმანიას შეუძლია. გაზეთი თანახმაა ბერლინის ბანკირ მენდელსონთან იქონიოს საქმე, რადგან მისი მამა-პაპანი ჩამოსცილდენ ურიობას და „ნამდვილი პროტესტანტები გახდენ“.

რომელი საბუთის ძალით თხოულობენ ესენი საფრანგეთისგან წინანდებურათ მორჩილებას? რაღა გააკეთა რუსეთის ბიურო-კამარილამ საიმისო, რომ კლემანსოს მთავრობა ნდობით მოეპყრას მას? პეტერბურგის მოღრიალეთ დავიწყებიათ, რომ ახლა სულ სხვა პოლიტიკურმა ნიავმა დაჰბერა. რუსეთის საშინელმა დამარცხებამ დაარწმუნა მთელი ქვეყანა, და მათ შორის საფრანგეთიც, რომ მისი სამხედრო ძლიერება ყინულზე ყოფილა დაწერილი; რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამცნო ქვეყანას, და მათ შორის საფრანგეთსაც, რომ მისი ბიურო-კამარილა მეტათ უვარგისი ვინმე ყოფილა; ბიუროკრატია არ ინდობს პიროვნებას, არ ინდობს საკუთრებას, რომელიც დასავლეთ ევროპაში სათაყვანებელ კერპათ გაუხდია ბურჟუაზიას. მიუხედავათ ყველა ამისა, საფრანგეთის მთავრობამ დელკასეს და რუვიეს თაოსნობით დიდი სამსახური გაუწია რუსეთის რეაქციას. უკანასკნელი ერთ-მილიარდიანი სესხი სწორეთ მაშინ ჩააყლაპინეს რუსეთის ბატონ-პატრონთ, როცა იქ თეთრი ტეროორი მძვინვარებდა.

მაგრამ ბურჟუაზია ანგარიშს ხალხია. მას უნდა თავის სიმდიდრე რამე ისეთ საქმეს მოახმაროს, რომელიც უქადის მას რეალურ სარგებლობას. ბოლოს და ბოლოს ისიც უნდა მიმხვდარიყო, რომ ფულის გადამხდელი ისევ ის ხალხია, რომელსაც ასე უწყალოთ ანგრევს და აღატაკებს ბიუროკრატია. ამასთან აშკარა შეიქნა მისთვის, რომ რუსეთის ხმალი მას ვერ უშველის გერმანიასთან გასამკლავებლათ თუ კიდევ ვინმე მოკავშირე არ გაიჩინა. ასეთი იყო ინგლისი, რომელიც თავის მხრივ ძალიან დაინტერესებული იყო საფრანგეთის ფლოტი შემოეერთებია თავის ფლოტისთვის გერმანიის წინააღმდეგ.

ამ გვარათ, ჩვენ წინ იშლება ახალი კომბინაცია, რომელიც ძირიანათ სცვლის სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებას. საფრანგეთი და ინგლისი კრავენ კავშირს, მაშასადამე, ამ ჟამათ რუსეთის წინ დგას არა მარტო საფრანგეთი, რომელისაგან ყველაფერის მოთხოვნა შეიძლება, არამედ მასთან ერთათ ინგლისიც. ეს კი ძირიანათ სცვლის ორ მოკავშირეთა შორის დამოკიდებულებას: წინეთ რუსეთი მამლაყინწობდა, ახლა კი საფრანგეთს უნდა იმამლაყინწოს; როლები შეიცვალა: საფრანგეთის ბურჟუაზია ისე არ არის ახლა დაბნედილი რუსეთის მუშტის დანახვაზე, რადგან გვერდში „ვერაგი ალბიონი“ ყავს. თუ წინეთ საფრანგეთის ბურჟუაზია ბიურო-კამარილას ვექსილს სჯერდებოდა, ახლა იგი ბოხის ხმით თხოულობს დუმისაგან ხელმოწერილ ვექსილს. ეს მარტივი სიტყვა გაცილებით უფრო ძლიერია და

ზე გაზ. „რუს. ვედ.“ უპასუხებს:

„იმის გასაგებათ, რეალურია, განსახორციელებელია თუ არა ესა თუ ის მოთხოვნანი უნდა მივმართავდეთ იმას კი არა, თუ როგორ უყურებს მას მთავრობა და რამდენათ შესაბამება ის მმართველთა განზრახვებს, არამედ უნდა ვიკითხავდეთ: რამდენათ შესაძლებელია ამ მოთხოვნათა განხორციელება არსებულ სოციალ-ეკონომიურ პირობებში და რამდენათ მისაღებია ესა თუ ის ზომები ხალხის ფართე წრეებისათვის. თუნდაც დარწმუნებული ვიყვეთ, რომ მთავრობისა და მოკამანდე კლასების ვერავითარ თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდა პროგრამული მოთხოვნანი, რომელთა განხორციელება სასარგებლოთ ითვლება ხალხის ინტერესებისათვის, მაინც ამ მოთხოვნათა ბეჯითი დაცვა ყველა პროგრესიულ პარტიებისათვის ზნეობრივი ვალდებულებაა და არა დემაგოგიური ხრიკები“.

სრულიად სამართლიანია გაზეთის პასუხი, მიმართული რეაქციისაკენ, მარა საგულისხმოა, რომ იგივე გაზეთი და მთელი ბურჟუაზიული პროგრესიული, დემოკრატიული პრესა ხშირათ სრულიად ღალატობს სიმართლეს, როცა იმავე საგანზე ეკამათება სოციალურ დემოკრატიას და მით ნათლათ ამტკიცებენ, რომ „ზნეობრივ ვალდებულებაზე“ უფრო ძლიერია კლასიური ინტერესები.

პარტიების ცხოვრებიდან

ბოიკოტი და სოც.-დემ. პარტია. სოც. რევ. მიერ მიღებულმა ბოიკოტისტურმა ტაქტიკამ აზრთა სხვადასხვაობა დაბადა სოც.-დემ. პარტიაში იმ კითხვის შესახებ, თუ როგორ ტაქტიკას უნდა დაადგენ სოც.-დემოკრატები იმ ფაბრიკა-ზავოდებში, სადაც ბოიკოტის იდეიას თანაუგრძნობს მუშათა უმრავლესობა; როგორ უნდა მოიქცენ ისინი, თუ საარჩევნო კრებაზე მუშათა უმრავლესობა ბოიკოტს მიემხრო; საჭიროა თუ არა სოც.-დემ. უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას და მონაწილეობა აღარ მიიღოს არჩევნებში, თუ მან ყურადღება არ უნდა მიაქციოს ამ გადაწყვეტილებას. როგორც ვიცით, პეტერბურგის ქალაქის საერთო კონფერენციამ, 27 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 21-ისა, გადაწყვიტა—ს.-დ. უმცირესობა უნდა დაემორჩილოს უმრავლესობასო. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც მოგეხსენებათ, კონფერენციის ასეთი გადაწყვეტილება გააუქმა, და გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში, 1) რომ სოციალ-დემოკრატია, როგორც პარტია, ვერ შეიქნება დამოკიდებული სხვა პარტიების ან უპარტიოთა გადაწყვეტილებაზე; 2) რომ სოც.-დემოკრატია ყველგან და ყოველთვის გამოდის, როგორც ერთი მთელი, და თავის მოქმედებას უთანხმებს თავისი პარტიის გადაწყვეტილებას,—ცენტრ. კომიტეტი იმ აზრისაა, რომ იმ ქარხნებ-ზავოდებში, სადაც უმრავლესობა ბოიკოტს მიემხრობა, პარტიის წევრები ვალდებული არიან აგიტაცია გასწიონ იმის სასარგებლოთ, რომ უმცირესობამ მოახდინოს არჩევნები, მონაწილეობა მიიღოს მათში და ამ კითხვის შესახებ გამოუშვას ცალკე დეკლარაცია“. ამას გარდა ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა, მიმართოს ორგანიზაციას წერილით, რომელშიაც დაწვრილებით გარკვეული იქნება მიღებული რეზოლიუცია.

სახალხო სოციალისტა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ დღეებში ცირკულიარი გაუგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს. კომიტეტი, მკაცრათ უარყოფს-რა ექსპროპრიაციებს, ურჩევს პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს ისარგებლონ იმ გავლენით, რომელიც მათ მშრომელ ხალხზე აქვთ, და ეცადონ ზურგი შეაქცევინონ მას ბრძოლის ასეთი წესისათვის. ამასთან ერთათ საორგ. კომიტეტი ორგანიზაციების ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ მათ არ დაარსონ ცალკე მებრძოლი დრუჟინები. სახ. სოც. პარტიის მთავარ საგანს ტაქტიკის ჩხრივ დღევანდელ მომენტშიაც შეადგენს მასსიური ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია მშრომელ ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების დასაცველათ. მშრომელ ხალხში წმინდა პარტიულ მოქმედების გარდა, პარტიის წევრებს გადაშლილი აქვთ წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი—პროფესიონალური კავშირები და კოოპერატიული დაწესებულებანი, რომელთა დაარსებას ისინი ყოველი ღონისძიებით ხელს უნდა უწყობდენ.

სოც.-დემ. პარტიის ცენტრ. საარჩევნო კომისია შეუდგა პარტიულ პლებისციტს (პარტიის ყველა წევრთაგან ხმების მოკრეფას) სასურველ კანდიდატების წამოსაყენებლათ. კანდიდატთა სახელების გამოქვეყნავის დრო ჯერ კიდევ არ დაუნიშნიათ. საარჩევნო კრებების გამართვის კითხვა გადაეცა გადასაწყვეტათ საუბნო საარჩევნო კომისიებს.

„რუსის ხალხის კავშირის“ მთავარმა საბჭომ განიხილა გლეხთა, მუშათა და წვრილ მემამულეთა არჩევნების შედეგი. კრებამ სიამოვნებით აღნიშნა, რომ გამარჯვება არჩევნებში მემარჯვენეებისაკენ იხრება („მოკავშირენი“ მემარჯვენეებათ თვლიან ყველა იმათ, ვისაც დეპეშათა საგენტო უპარტიოებს და ზომიერებს უწოდებს). თავმჯდომარემ დუბროვინმა მისალოცი დეპეშა შეადგინა კავშირის სხვა და სხვა განყოფილებისათვის გასაგზავნათ, დეპეშით მადლობას უხდიან „კავშირის“ ადგილობრივ „მოღვაწეებს“ მეცადინეობისათვის. სხდომის შემდეგ ამ შემთხვევის გამო სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს.

კიდევ ფულის გაფლანგვა მოკავშირეთა მიერ. რუს. ხალხ. კავშირის წევრთა შორის ამ ჟამათ ბევრს ლაპარაკობენ ახლათ გაფლანგულ ფულების შესახებ, რომელიც ბლომათ მოსვლია კავშირს სხვა და სხვა ფონდების დასაარსებლათ, ვითომ რაღაც „ეროვნული“ მიზნით. ფულის გაფლანგვის გამო დაუთხოვნიათ ვიღაც ბ., რომელიც მთავარ საბჭოსთან რაღაც სამსახურს ასრულებდა.

მუშათა შორის

თორნის პურის-მცხობელ მუშების ცხოვრებიდან. 7 სექტემბრიდან მოკიდებული, თითქმის ყოველ დღე, თფილისის ქართულ პურის მცხობელ თვითმშრომელ მუშა-ხაზეინებს და თორნის პურის-მცხობელ მუშების წარმომადგენლებ შორის მოთხოვნების შესახებ მოლაპარაკება იმართებოდა. დიდი კამათი გამოიწვია მოთხოვნების შემდეგ მუხლებმა: 1. მოისპოს მუშაობა კვირაობით 2. მოისპოს მუშაობა შობის და აღდგომის მეორე დღეს; 3. წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ჯამაგირის და ადგილის შენახვით; 4. გაფიცვისთვის არავინ იქნას დათხოვილი. მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროის სრული ჯამაგირი, პურის ფული და სხვა. დანარჩენ მოთხოვნების შესახებ ხაზეინების ბიურომ სრული თანხმობა გამოაცხადა. კვირაობით მუშაობის მოსპობის შეუძლებლობას ხაზეინების ბიუროს წევრები შემდეგ ნაირათ ასაბუთებდენ: კვირაობით მუშაობა რომ მოვსპოთ, მაშინ ფურნის პურის მცხობელ ხაზეინებს და ჩვენ შორის არსებული კონკურენცია კიდევ უფრო გაძლიერდება და ისედაც დაცემული ჩვენი წარმოება, კიდევ უფრო დაეცემა. თუ ფურნის პურის-მცხობელი ხაზეინები მოსპობენ კვირაობით მუშაობას, მაშინ რა თქმა უნდა, ჩვენც მოვსპობთ. რომ კვირის საყოფი პური შაბათს დავამზადოთ და ამისთვის ზედმეტი ქირა რომ მივსცეთ მუშებს, ან შაბათობით მეორე რიგი მუშები დავიქირაოთ, ამის შეძლება ჩვენ არა გვაქვსო. თუ მუშები შაბათს ზედ-მეტს იმუშავებენ, კვირის საყოფ პურს შაბათს დაამზადებენ და კვირაობით თავისუფალი იქნებიან, ამის თანახმა ვართო. შობის და აღდგომის მეორე დღეს მუშაობის მოსპობის შეუძლებლობასაც ამნაირათვე ასაბუთებდენ. ხაზეინების ბიურო თანახმაა მისცეს მუშებს ერთი თვის თავისუფლება, ჯამაგირის მიცემაზე კი უარს ამბობს. მუშების წარმომადგენლები აღნიშნავენ 1906 წლის გაფიცვით მოპოებულ პირობებს, მარა ამის შესახებ ხაზეინების ბიურო შემდეგ პასუხს იძლევა: მართალია 1906 წელს გაფიცვის დროს შეგპირდით მოგვეცა წელიწადში ერთი თვის თავისუფლება ადგილის და ჯამაგირის შენახვით, მარა ამ დანაპირებს დღეს არ ვღებულობთ, რადგან მუშები გაფიცული არიან და პირობები ხელ-ახლა უნდა შევიმუშაოთო. გაფიცვისთვის არავის დავითხოვთ, გაფიცულ მუშებს მივიღებთ ყველას თავ-თავის ადგილზე და თუ ვინმეს დავითხოვთ, მას მივცემთ სამი თვის სრულ ჯამაგირს. გაფიცვის დროის ჯამაგირს, პურის ფულს და სხვას ვერას გზით ვერ მივსცემთო, რადგან ეს გაფიცვა თვითონ მუშებმა გამოიწვიეს და ჩვენ არც კი შეგვატყობინეს, თუ რაზე იფიცებოდენო, გაიძახოდენ თორნის პურის მცხობელ ხაზეინების კავშირის ბიუროს წევრები. ამის შემდეგ მოხდა მუშების დელეგატების კრება, რომელსაც პროფესიონალურ კავშირების ცენტრიდან დანიშნული კაცი დაესწრო. კრებამ ერთხმათ დაადგინა: „ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებს, დროებით ღიათ ვტოვებთ კვირაობით მუშაობის მოსპობის შესახებ მოთხოვნას და კავშირი მომავალში ეცდება აუცილებლათ მოიპოვოს კვირაობით თავისუფლება. მოვითხოვთ აღდგომის და შობის მეორე დღეს მუშაობის მოსპობას. მოვითხოვთ წელიწადში ერთი თვის თავისუფლებას ერთი თვით ადგილის და ნახევარი თვის ჯამაგირის შენახვით. მასთან ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ხაზეინებმა უყურადღებოთ დატოვეს პირველ მაისის „ლახვარის“ ნომერში აღნიშნული მუშების მოთხოვნები და არ ასრულებდენ იმ პირობებს, რომელნიც მუშებმა 1906 წლის გაფიცვით მოიპოვეს, რომ ასეთ დროს მუშების მიერ გაფიცვის გამოცხადება იყო ერთნაირი დემონსტრატიული გამოსვლა იმ ხმების წინააღმდეგ, ვითომც ზოგიერთ ხაზეინებს მუშების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ უკიდურეს ზომების მიღება განეზრახოთ, და სამი დღის გაფიცვის შემდეგ ამ ხმების გამოსაძიებლათ კომისიის ამორჩევის შემდეგ, მუშების წარმომადგენლების წინადადება: ვხსნით გაფიცვას და ამის შემდეგ ვიქონიოთ მოლაპარაკება დანარჩენ მოთხოვნების შესახებ, ხაზეინებმა გამოძიების დათავებამდე უარყვეს და მით გაფიცვა აუცილებელი გახადეს, მასთან ვღებულობთ რა მხედველობაში დღევანდელ პირობებს, ამისათვის მოვითხოვთ: გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი, მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროის ჯამაგირის, პურის და აბანოს ფულის ნახევარი. თუ ამას ხაზეინები არ დათანხმდებიან, მაშინ განვაგრძობთ გაფიცვას, რათაც უნდა დაგვიჯდეს. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ ბიუროს აღმასრულებელმა კომისიამ დიდი კამათის შემდეგ ეს დადგენილება მიიღო, ამოირჩია ორი კაცი, რომლებსაც დაევალათ მოლაპარაკების გამართვა თორნის პურის მცხობელ ხაზეინებთან მუშების უკანასკნელ დადგენილების შესახებ. 16 ამ თვეს თორნის პურის მცხობელ ხაზ. კავშ. ბიუროს ქონდა კრება, რომელსაც 80-ე ხაზეინი დაესწრო. კრებამ სავსებით მიიღო მუშების დადგენილება და 17 ამ თვეს, თორნის პურის-მცხობელ მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბიუროს გააცნო, თუ რა პირობებში აკმაყოფილებენ თორნის პურის მცხობელი ხაზეინები მუშების მოთხოვნებს. აქვე მოგვყავს თორნის პურის-მცხობელ ხაზეინების კავშირის ბიუროს დადგენილება მუშების მოთხოვნების შესახებ.

„1907 წელს ენკენისთვის 17-ს თფილისის ქართულ პურის მცხობელ თვითმშრომელ მუშათა კავშირის ბიუროს ქონდა კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა ქართულ პურის მცხობელ მუშათა პროფესიონალურ კავშირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნების შესახებ და ერთხმათ დაადგინა: 1) დაწესდეს ცხრა საათის სამუშაო დღე, 2) მოისპოს მუშაობა დიდ დღესასწაულებში, როგორიც არის: შობა, შობის მეორე დღე, ახალ-წელიწადი, ნათლისღება, აღდგომა, აღდგომის მეორე დღე, ამაღლება და პირველი მაისი.

3) მიეცეს ჯამაგირი: პურის დამკრავს, რომელიც 1—4 თორნეს აცხობს თვეში 25 მანეთი, რომელიც 1—6 თორნეს აცხობს—30 მანეთი. მეცომეს, რომელიც 1—4 თორნის ცომს ზელს, თვეში 20 მანეთი; რომელიც 1—6 თორნის ცომს ზელს—25 მანეთი. იქ, სადაც 1—4 თორნემდე პურს აცხობენ, დაზგაზე მუშას მიეცეს თვეში 8 მანეთი. იქ, სადაც 1—6 თორნემდე პურს აცხობენ, დაზგაზე მუშას მიეცეს თვეში 10 მანეთი. თითო თორნეზე გამოიცხოს სამ ფუთ-ნახევარი პური. თითო პური ორ შაურიანი უნდა იყოს.

4) თექვსმეტ წლისაზე ნაკლები შეგირდათ არ იქნას მიღებული. შეგირდს დაენიშნოს თვეში ხუთი მანეთი. შეგირდობის დრო შემოკლდეს ორ წლამდე. დათხოვნილ იქნას ადგილიდან 10 აგვისტოდან მიღებული 16 წლისაზე ნაკლები შეგირდები და აგრეთვე მუშებიც.

5) მიეცეს სამუშაო ტანისამოსი ხაზეინის ხარჯზე.

6) მიეცეს ჰიგიენურათ მოწყობილი ბინა.

7) მიეცეს სუფთათ გაკეთებული საქმელი თითოეულს ცალკე კერძი და არა ყველას ერთ ჯამში.

8) დამკრავს მიეცეს ოფლის მოსაწმენდათ დღეში ორი სუფთა ტილო, მეცომეს კი ერთი. ტილოების და სამუშაო ტანისამოსის გარეცხა კვირაში ერთხელ ხაზეინის ხარჯზე.

9) მიეცეს აბანოს ფული თვეში ათი შაური.

10) ავათმყოფობის დროს წამლობა ხაზეინის ხარჯზე, გარდა ვენერიული ავათმყოფობისა, ერთი თვით ჯამაგირის და სამი თვით ადგილის შენახვით.

11) ხაზეინს შეუძლია მიიღოს მუშა ქართულ-პურის-მცხობელ მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბიუროსთან შეთანხმებით.

12) მუშის დათხოვნა თვით მუშების საქმეა. თუ ხაზეინი თავის სურვილით დაითხოვს მუშას, ვალდებულია მისცეს სამი თვის სრული ჯამაგირი.

13) მიეცეს ერთი წლის ნამუშევარ მუშას ერთი თვის თავისუფლება ერთი თვით ადგილის და ნახევარი თვით ჯამაგირის შენახვით.

14) რომ ხაზეინს და მუშებ შორის მომხდარი უთანხმოება თუ უკმაყოფილება დაწვრილებით გამოძიებულ და გამორკვეულ იქნას და მასთან მიღებულ იქნას ზომები მხარეების შესათანხმებლათ, ამისათვის დაარსდეს ხაზეინებს და მუშებ შორის თანასწორი რიცხვით არჩეული პირებიდან მომრიგებელი კომისია. თუ რომელიმე შემთხვევაში კომისია ვერ შეათანხმებს მხარეებს, მაშინ საქმე გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს.

15) ხაზეინს არ აქვს უფლება დასაქმოს მუშას ის, რაც მის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს.

16) ზრდილობიანი მოპყრობა ორივე მხრით.

17) შემოღებულ იქნას ხაზეინების ხარჯზე საანგარიშო წიგნები, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნული იქნება სამუშაო პირობების წესები.

18) გაფიცვისთვის არავინ იქნას დათხოვნილი. მიეცეს გაფიცულებს გაფიცვის დროის ჯამაგირის, პურის და აბანოს ფულის ნახევარი“.

ამის შემდეგ თორნის პურის მცხობელ მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბიურომ გაფიცვა მოხსნა და მოუწოდა მუშებს მუშაობა დაეწყოთ. 19 ამ თვეს მუშებმა მუშაობას შეუდგენ. ამნაირათ გაფიცვა მუშების გამარჯვებით გათავდა.

აპოლონ ჩამწარდაძე.

—

სექტემბერის 14 მოხდა საერთო კრება **ფუნიკულერის მუშებისა.** კრებამ განიხილა კომისიის მოხსენება. პირველი კითხვა იყო ზედ-მეტ მუშაობის შესახებ. თუმცა აქ საერთოთ განსაზღვრულია რვა საათის სამუშაო დღე, მაგრამ ხშირათ ვინმე რომ „ოტპუსკში“ მიდის ან და რომელიმე მუშის ავათმყოფობის დროს მუშაობს მისი ამხანაგი თექვსმეტ საათს (რადგან აქ ორი ჯერია). ეს გარემოება იწვევს თვით მუშებშივე დეზორგანიზაციას და სოლიდარობის განმტკიცების მაგიერ ითესებოდა უკმაყოფილება. უკანასკნელ კრებაზე ეს კითხვა უკანასკნელათ გადაწყდა. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ზედმეტი მუშაობა ასუსტებს და აუძლურებს მუშას, როგორც ფიზიკურათ ისე ზნეობრივათ, ჩვენ ფუნიკულერის მუშები, ვადგენთ. მოისპოს სრულიად ზედმეტი მუშაობა, და თუ დროებით საჭირო იქნება მუშა, მაშინ იმუშაონ იმ კანდიდატებმა, რომლებიც ჩვენსავე სიაშია შეტანილი. მეორე კითხვა იყო ბოიკოტის შესახებ. ფუნიკულერზე არსებობს ბუფეტი, სადაც მსახურებს ბუფეტჩიკის ძმა ბ. ჩიკვაიძე. ბ. ჩიკვაიძემ უმიზეზოთ გალანძღა ჩვენი ამხ. ვატმანი ხარატიშვილი. საერთო კრებამ შეურაცყოფილს ურჩია სამედიატორო სამართლისთვის მიემართა. მაგრამ ბ. ჩიკვაიძემ უარი სთქვა, რის გამოც კრებამ ბოიკოტი გამოუცხადა მას.

მოსამსახურე

პროვინცია

მიხაილოვი (ხაშური). 14 ამ თვეს მოხდა არჩევნები დეპოს მუშებში. მუშებმა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს და რწმუნებულებათ ს.-დემოკრატები აირჩიეს. ამ დღესვე მოხდა არჩევნები გლეხთა კურიებში. გლეხებმა აირჩიეს ათის ბაქაბი, არჩეულები ყველა ს. დ. მისცემენ ხმას.

— ბორჯომის ყველა ქარხნებში: შუშისა, ბორჯომის წყლისა და ხერხის ქარხნის მუშებში მოხდა არჩევნები. აირჩიეს ს. დ. ბორჯომის რაიონში გლეხთა კურიაშიაც ს. დ. მომხრეები აირჩიეს ბაკურიანსა და დვირმის რუს-გლეხებმა ყველა პროგრესისტები აირჩიეს, რომლებიც ს. დ. მისცემენ ხმებს.

— შანტაჟისტებმა აქაც იჩინეს თავი. მათ შეუდგენიათ ჯგუფი და მოუნათლავთ ს.-რევოლიუციონერთა სარევოლიუციო პარტიის სახელით და ყოველ დღე უგზავნიან მუქარის წერილებს, ვისაც ორი გროში აბადია. ამ დღეებში გაუგზავნიათ მუქარის წერილი აქაურ ბუფეტის პატრონისათვის და მოუთხოვიათ: ამ დღეებში რომ 500 მ. მოგივა, ის ჩვენ უნდა გადმოგვცე, თორემ მოგკლავთო. დრო პარასკევამდე გეძლევაო. ეს ვაჟბატონები წერილზე სახელსა და გვარსაც კი აწერენ.

სტუმარი.

ბათუმის ქრონიკა

შაბათს, 15 სექტემბერს, თფილისის საოლქო სასამართლო პალატის სესიამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, გაარჩია საქმე გაზეთ „სტრელა“-ს რედაქტორ-გამომცემლის, მასწავლებლის, ბ. კ. გელაზანიასი; ს. სუფსის მცხოვრების ა. არეშიძესი, რომელსაც იარაღის შეკრებას და არა-ლეგალურ ორგანიზაციების ხელის-შეწყობას აბრალებდენ; ბათუმში ნამსახურ ნოქრის ჭანტურიასი, რომელსაც სალდათებ შორის არა-ლეგალურ გაზეთების „გოლოს კაზარმის“ და „დრუგ სოლდატ-ს“-ს გავრცელება ბრალდებოდა, და ადგილობრივ მცხოვრების ვ. გოგიტიძის, რომელსაც არა-ლეგალურ ფურცლების შენახვას აბრალებდენ. ყველა ბრალდებულთ, გარდა უკანასკნელისა, იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ვლ. გ. რუტკოვსკი. ა. არეშიძის საქმე გადადებულ იქნა ერთი უმთავრეს მოწმის, ბოქაულ მიქიაშვილის დაუსწრებლობის გამო. საღამოს 7 საათზე პალატამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: რედაქტორ-გამომცემელს, ბ. გელაზანიას და ჭანტურიას მიუსაჯეს თითო წლით ციხეში ჯდომა, მხოლოდ ჭანტურიას სასჯელში ჩაუთვალეს 7 თვე, უკვე ციხეში გატარებული. ბრალდებულთ შორის, ბ. გელაზანია პალატის დადგენილებას განსაჩივრებას უპირებს სენატში.

— 15 სექტემბერს მოხდა არჩევნები კაპლანას და მანთაშევის ქარხნების, დეპოსა, ბინიატოღლის და სიდერიდისის ქარხნების მუშების და აგრეთვე მიწის წვრილ მესაკუთრეთა რწმუნებულების ასარჩევათ. მუშათა კურიაში გამარჯვება სოც.-დემოკრატებს დარჩათ. წვრილ მესაკუთრეებმა აირჩიეს სამი რწმუნებული. მათ შორის ერთი სოც.-დემოკრატი, ერთი ს. ფედერალისტი და ერთიც პროგრესისტი.

— ხოხუმის საოლქო სამმართველო აცხადებს, რომ იქ 20 სექტემბერს მოხდება საარჩევნო სიებში შეტანილ მიწათ-მფლობელების და წვრილ მიწათ-მფლობელთა კრებები ორ „ვიბორშჩიკის“ ასარჩევათ. 13 სექტემბერს უკვე მოხდა წინასწარ კრების მოწვევა იმ წვრილ მიწათ-მფლობელებისა, რომელნიც წლიურათ არა უმეტეს 30 მ. იხდიან მიწის ბაჟს ამათ აირჩიეს რწმუნებულები სამურზაყანო და კოდორის უჩასტკებიდან—დაბა ოჩემჩირეში, მხოლოდ გუმისტინსკის და გუდაუთის უჩასტკებიდან—სოხუმში. ქ. სოხუმში არჩევნები დანიშნულია 20 სექტემბერს—ქალაქის ადგილობრივ მკვიდრთა ამომრჩევლების კრება ორ ვიბორშჩიკის ასარჩევათ. 22 სექტემბერს—რუსების კურიის ყრილობა ერთ ვიბორშჩიკის ასარჩევათ. 21 სექტემბერს მთელ ოლქის სოფლების რწმუნებულთა კრებები მკვიდრ მცხოვრებლებისა, ორ ვიბორშჩიკის ასარჩევათ, მხოლოდ 22 სექტემბერს—სოფელში რუს მცხოვრებლების რწმუნებულთა კრება იმ მცხოვრებლებთან ერთად, რომელნიც რუს ამომრჩევლებთან არიან მიწერილნი; ესენი აირჩევენ ორ ვიბორშჩიკს...

— ქალაქის თვითმართველობას სათათბიროში ამომრჩეველთა სიები ჯერ კიდევ არ გამოუკრავს ქუჩებში. როგორც

სჩანს, არც აპირებენ სიების გამოკვრას. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხშირათ ცნობების შესაკრებათ სიების ჩვენებასაც კი აჭირვებენ. რას ნიშნავს ეს, ჯერ-ჯერობით გამოუკვრელია. შარშან თუ კი შეიძლებოდა ქუჩებში სიების გამოკვრა, წელს რისთვის არ შეიძლება, ან რისთვის აგვიანებენ ამას!

საარჩევნო კამპანია.

— სევასტოპოლში მრავალ ქარხნებ-ზავოდებში მუშათა რწმუნებულების არჩევნები არ შესდგა, რადგან არ გამოცხადდა მუშათა საკმაო რიცხვი, რომლებმაც დუმას ბოიკოტი გამოუცხადეს.

— უფის გუბერნიის სოფლებში გლეხები უგულოთ ეკიდებიან არჩევნებს და ბევრი მათგანი ამბობს: 3 ივნისის კანონით დამახინჯებულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუწყნარებელია გლეხებისათვისო: „ბატონების დუმაში ჯდომა გლეხებს არ შეფერითო“. და თუ ამის მიუხედავათ, გლეხები ბევრგან მაინც ირჩევენ რწმუნებულებს, უმეტეს ნაწილათ, რასაკვირველია, მემარცხენენი გაყავთ.

— ქ. შუიაში მხოლოდ ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაციის თავგამოდებით მოხდა მუშათა არჩევნები, თორემ ბოიკოტი იყო მოსალოდნელი. თუმცა კრების გამართვა ნება-დართული იყო, მაგრამ კრება არსად მომხდარა. ზოგიერთმა შარშანდელმა რწმუნებულებმა აღარ ისურვეს თავისი კანდიდატურის წამოყენება. ერთ ქარხანაში არჩევნები სულ არ მომხდარა, არჩეულ იქნა სულ 8 რწმუნებული: 6 სოც.-დემ., 1 უპარტიო და 1 მონარქისტი. ამნაირათ, წელსაც ს.-დ.-ებმა გაიმარჯვეს.

— ბორზენსკის მაზრიდან იწერებიან, რომ მრავალ ვოლოსტებში არჩევნები არ შესდგა, რადგან გლეხებს უწყებები არ მისვლიათ და არაფერი არ ცოდნიათ არჩევნებზე. ბორზენსკის ვოლოსტის არჩევნების დროს შემდეგი ამბავი მომხდარა: შეიკრიბენ ამომრჩევლები, მოვიდა „ზემსკი ნაჩალნიკი“ და რაღაცისაგან გაბრაზებულმა დაფხრიწა ამრჩეველთა სიები; ამან დიდი ხმაურობა, ყვირილი და პროტესტები გამოიწვია. „ზემსკი“ იძულებული შეიქნა მოექუსლა. არჩევნები არ შესდგა.

ხარკოვში არჩევნების წინ საერთო სიჩუმე სუფევს, მხოლოდ „რუსის ხალხის კავშირი“ მართავს საჯარო კრებას კამათით. ორივე კურიაში კანდიდატები წამოყენებული ყავთ კადეტებს და „მოკავშირეებს“. სოც.-დ.-ები კი მარტო მეორე კურიაში ასახელებენ თავის კანდიდატათ ცნობილ მოღვაწეს, იდგილობრივ ექიმს. მემარცხენეთა ბლოკი არ შესდგა. შესაძლებელია შეთანხმება მოხდეს ხელმეორე კენჭის ყრის დროს მეორე კურიაში.

რუსეთის ამბები

დახვრეტა. 11 სექტემბერს ქ. რიგაში დახვრიტეს 9 კაცი, რომლთაც რიგის მაზარში რესპუბლიკის კამოცხადება ბრალდებოდათ.

ხელმწიფის მადლობა დუბროვინის დეპეშაზე. ამას წინათ ჩვენ მოვუანდი გვქონდა „რუსის ხალხის კავშირის“ დიდების დუმბროვინის დეპეშა, რომელიც მან ხელმწიფეს კუგზავნა და რომლითაც უქვეშევრდომელესათ უდოცავდა მას გემ „შტანდარდზე“-ზე დადუშვისაკენ კადარჩენას და მის სადეგრძელოთ „კავშირის“ სახელით დოცვა-ვედრებას ადავლენდა უფლისა მიმართ. ამ დეპეშაში დუბროვინს სასახლის კრის მინისტრისაკენ შემდეგი დეპეშა მიუვიდა: „ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ებრძანა ჩემთვის კადმოგცეთ თქვენ და „რუსის ხალხის კავშირის“ მთავარ საბჭოს მისი უდიდებულესობის მადლობა თქვენი დოცვა-ვედრებისა და კეთილმსურველობისათვის“.

უმაღლეს სასწავლებლებში. პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში სტუდენტების წარმომადგენელთა საბჭომ კანიხილა კითხვა საერთო-სასტუდენტო კრების მოწვევის შესახებ. თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთი, რომელსაც მხარს უჭერდა ს.-რ-ების ფრაქცია, საჭიროთ ცნობდა კრების მოწვევას კამოცხადებითი წესით, ე. ი. 11 იულისის წესების წინააღმდეგ, მეორე-კი, რომელსაც მხარს უჭერდენ კადეტების და მენშევიკ ს.-დ-თა ფრაქციები, სჯიროთ ცნობდა კრების მოწვევას ხსენებულ წესების თანახმათ. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა მეორე აზრი, და კრება დანიშნა 18 სექტემბრისათვის. კენჭის ყრის შემდეგ ს.-რ-ებმა განაცხადეს—გამოვდიგართ წარმომადგენელთა საბჭოდანო და დასტოვეს კრება.

საერობო გამგეობის გარეკა. ბოდტავის გუბერნიის ქ. ბერეიასლავლში საგუბერნიო საკრებულომ („ბრისუტსტვიემ“) უველასათვის მოულოდნელათ თანამდებობიდან კადაუენა საამაზრო საერობო გამგეობის უველა წევრები,—ადგათ იმიტომ, რომ ეველა ესენი ბრიგრესისტები ყოფილ და ორი მათგანი წარსულ არჩევნების დროს „ვიბორშჩიკებათ“ იყვენ. საამსაურიდან დათხოვნის გამო ისინი კარგავენ საარჩევნო უფლებას.

ქალის მოტაცება. ქ. რიგაში ვიღაც ორ კაცს, რომლებიც ფორმის ტანისამოსში იყვენ გამოწყობილი, ეტლში, მუხლებზე დაესვათ ახალგაზდა ქალი, რომელსაც წივილ-კივილი გაქონდა, და ასე მიაქროლებდენ ერთ-ერთ დიდ ქუჩაზე. ეტლს უკან მისდევდა მოხუცი კაცი, ქალის მამა, მაგრამ ვერას გახდა, და ამნაირათ საბრალოს თვალ და თვალ მოსტაცეს შვილი. შესაძლებელია, ქალი ფუფლის მოსაგებათ გაიტაცეს.

საგლეხო ბანკის მმართველმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ბანკის უველა განყოფილებებს: განყოფილებათაგან მოსული ცნობები მარწმუნებს, რომ მსესხებლები და მოიჯარადრეებმა წინანდებურათ მეტის-მეტათ უგვიანებენ და რიგიანათ არ უხდიან ბანკს ხვედრ ფულს. ხელ-ახლავ მოგიწერთ, რომ მიიღოთ ეოველგვარი ზომები ფულის ამოსაგებათ და სამი დღის განმავლობაში შემატყობინოთ უველაფერი“.

პროფ. კავშ. დაკეტვა. ქ. დოძში მთავრობამ დაკეტა ბეწვეულობის მუშათა უპარტიო კავშირი. კავშირის გამგეობის უველა წევრები დაპატიმრებულ იქნენ.

რეპრესიები გაფიცვის წინააღმდეგ. იმავე ქ. დოძში გენერალ-გუბერნატორმა გამოუცხადა ნაროდოვეცთა კავშირს და უველა ქარხნების ადმინისტრაციას, რომ გაფიცვის გამართვისათვის უველა მუშები დატუსაღებულ იქნებიან, ხოლო ვინც შეეცდება მოწინააღმდეგე მხარეთა მორიგებას, გაადასახლებულ იქნება ბოდონეთის სახლვრებიდანო. ამნაირათ, ადმინისტრაცია იმის მაგიერათ, რომ თვითონ ცდილობდეს მოწინააღმდეგეთა მორიგებას, სხვებსაც სასტიკათ უკრძალავს ამას. ადგათ მისი ინტერესია საქმის გაჭიანურება!

ჩამოხრჩობა შეიარაღებულ წინააღმდეგობისათვის. პეტერბურგის სამხედრო-სოდქო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწვიტა 19 წლის გლეხს ხიტოვს იმისათვის, რომ მას ბრალდება დატუსაღების დროს შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევა.

მეორე დუმის დეპუტატის ირ. წერეთელს, რომელიც ამ უამათ პეტერბურგის სატუსაღოში ზის, ამდენ ხანს ძალიან გაძნელებული ჰქონია ნაცნობ ნათესავების ნახვა. ამ დღეებში წერეთელს ბრიგურორთან მოულაპარაკია ამ საკითხზე და ამ უკანასკნელსაც განკარგულება მოუხდენია ტუსაღის სურვილის ასასრულებლათ.

პოლიტიკურ ტუსაღის გაქცევა. 12 სექტემბერს პეტერბურგის სამხედრო-სამართლო დაწესებულებათა შენობიდან გაიქცა ბოდიტტუსაღი ადეინიკინი, რომელსაც ინარქისტ-კომუნისტთა საქმის თაობაზე ერთხელ უკვე 8 წლის კატორღა ქონდა გადაწყვეტილი და ახლა კიდევ მეორე ასეთი საქმისათვის ასამართლებდენ. სასამართლოში მას მუცლის ტკივილი მოუგონია და ფეხის ადგილი გაუკეთა. ფეხის ადგილთან მას, რასაკვირველია, მცველები დაუყენეს. ადეინინიკინს ძალიან დიდ-ხანს დაუკვიანებია გამოსვლა. მოთმინებიდან გამოსულ მცველებს კრების კანონი აუტანიათ, მაგრამ ბასუხი ვერ მიუღიათ. მაშინვე ეს ამბავი შეუტყობინებიათ, ვისთვისაც ჯერ იყო, და დაუყოვნებლივ მიცვივნენ სასამართლოს მოხელენი და ყანდარმები; ამათ გაუტეხიათ ფეხის ადგილის კარი და შემდეგი სურათი დადგომიათ თვალ-წინ: ფეხის ადგილის განყოფილებათა შუა კაჭრილი იყო კედელი. იმ განყოფილებაში, ს